ბ
ვ-481

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ხელნაწერის უფლებით
Copyright

ცაცა ვასილის ასული ბენაშვილი
Tsatsa V. Benashvili

# ინგლისური რომანტიკული პოეზია და XX საუკუნის ქართული ლიტერატურა

# THE ENGLISH ROMANTIC POETRY AND THE 20th CENTURY GEORGIAN LITERATURE

10. 01. 02 ქართული ლიტერატურა
Georgian Literature

სადისერტაციო მაცნე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა

თბილისი 1994 Tbilisi

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე.

მეცნიერი ხელმძღვანელი: მარიკა ვახტანგის ასული ოძელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ოფიციალური ოპონენტები: აკაკი ხინთიბიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ზაზა გაჩეჩილაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 1994 წლის "11" X/ "12" საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ლიტერატურის დარგის სამეცნიერო - საატესტაციო საბჭოს № 10. 01. C №10- სხდომაზე. 380028 თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 1994 წლის "10" X

სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი პროფესორი ნოდარ ტაბიძე

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა.</u> ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა გულისხმობს ამა თუ იმ თემის სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა ეთნიკური ინტერპრეტაციით წარმოდგენას. ეროვნული ლიტერატურის შესწავლა მხოლოდ გენეტიკურად, მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისგან დამოუკიდებლად, არ მოგვცემს საშუალებას ღრმად შევიმეცნოთ იგი, ზუსტად გავიაზროთ მისი ინდივიდუალური თავისებურებები და მივუჩინოთ მართებული ადგილი მსოფლიო კულტურის საგანძურში. წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი მიმდინარეობის - რომანტიზმის ურთიერთობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურასთან.

რომანტიკულმა მიმდინარეობამ დიდი როლი შეასრულა მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. რომანტიკოსებმა ბრძოლა გამოუცხადეს ადამიანთა ჩაგვრას, ტირანიას, დესპოტიზმს. რომანტიკოსთა დამსახურებაა დაინტერესება ადამიანის სულიერი პროცესების შესწავლით. ინგლისურმა რომანტიზმმა მსოფლიო ლიტერატურას მისცა არა ერთი ნიჭიერი და გამორჩეული პოეტი, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში. ინგლისელ რომანტიკოსთა თავისუფლებისმოყვარე იდეები ყოველთვის აღაფრთოვანებდა მოწინავე ქართულ საზოგადოებრიობას, რომელიც ხარბად ეწაფებოდა მათ შემოქმედებას. ინგლისურმა რომანტიზმმა დიდი გავლენა იქონია ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაზე და მათ შორის საქართველოზეც.

ინგლისური რომანტიზმის ცალკეული წარმომადგენლებით დაინტერესება შეინიშნება უკვე XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის დიდი იყო და ახლაც გაუნელებელია ინტერესი საქართველოში ევროპული კულტურის და, კერძოდ, ინგ-

1470
Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе